სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა (ქვეპროგრამის კოდი 06 02 24)

პროგრამა განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა.

მუხლი 2. დაფინანსების წყარო

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლეები

პროგრამით მოსარგებლეები არიან სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000 ქულას.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეების დაფინანსება

პროგრამა ითვალისწინებს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა არის:
ა) 1 000 ქულიდან 30 000 ქულის ჩათვლით წელიწადში ერთხელ მატერიალური დახმარების გაცემას 300 ლარის ოდენობით;
ბ) 30 001 ქულიდან 65 000 ქულის ჩათვლით წელიწადში ერთხელ მატერიალური დახმარების გაცემას 200 ლარის ოდენობით.

მუხლი 6. დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტები:

ა) განცხადება ან/და შუამდგომლობა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისაგან;
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მომართვის შემთხვევაში);
დ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის სტატუსის მქონე ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს ცნობა, სადაც მითითებული იქნება, რომ ის არ არის ამ პროგრამით გათვალისწინებული ანალოგიური დახმარების მიმღები იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სადაც არის რეგისტრირებული.
ე) ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ (ამონაწერის გაცემის თარიღი არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს);
ვ) საბანკო რეკვიზიტები.

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების გაცემის ორგანიზება

1. სოციალური დახმარების მისაღებად, ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს ან შესაბამისი ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს;
2. მუნიციპალიტეტში შემოსული დახმარების მთხოვნელთა განცხადებები თანდართული დოკუმენტაციით შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში;
3. შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს ამ პროგრამის სახელწოდება და წარმოდგენილი იქნას სრულყოფილი დოკუმენტაცია.

მუხლი 8. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფლებამოსილება

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური დოკუმენტაციასთან ერთად შემოსული განცხადებების შემოწმების ან/და ადგილზე გადამოწმების შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაცია სრულყოფილია ამზადებს ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს ხარვეზის შესასწორებლად.

მუხლი 9. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას) თანხის გამოყოფის შესახებ.

მუხლი 10. დახმარების გაცემის წესი

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) მომზადებას წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში;
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილება უზრუნველყოფს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გადაგზავნას ელექტრონული მოდულის მეშვეობით როგორც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურში, ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში;
3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური თანხას გასცემს უნაღდო ანგარიშსწორებით ამ პროგრამის მე-9 მუხლის თანახმად გამოცემულ ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 11. პროგრამის შეფასების ინდიკატორები

პროგრამაში ჩართული ოჯახების რაოდენობა.

მუხლი 12. პროგრამის შედეგი

სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარება.